საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 6 19 00653760

28/05/2019

საქართველოს რეფორმების ასოციაცია
,,ფაქტრ მეტრის" რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენ განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N569547; 15.05.2019) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ,,ბ" პუნქტის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული ავტორიზებული პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა შეადგენს -37, (მათ შორის - 24 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 12 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 1 ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულება) ხოლო განხორციელების ადგილის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება კიდევ 13 დამატებით სასწავლო ფართებზე.

კერძო სამართლის იურდიული პირის ფორმით დაფუძნებული ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა შეადგენს 58 (მათ შორის - 44 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 7 ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულება).

თანდართული ფაილის სახით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ავტორიზებული პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებიან აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები. ასევე წარმოგიდგენთ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობას, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ასევე გაცნობებთ, რომ პროფესიული განათლების ბიუჯეტი 2019 წელს შეადგენს 64 800 000 ლარს. რაც შეეხება მეექვსე პუნქტს, გაცნობებთ, რომ 2019 წლის საგაზაფხულო

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

მიღებიდან განხორციელდა ცვლილებები პროფესიული განათლების დაფინანსებაში, მათ შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა ჩაერთვნენ ვაუჩერულ დაფინანსებაში პრიორიტეტული დარგების ფარგლებში. ასევე, მეშვიდე პუნქტის ფარგლებში წარმოგიდგენთ ბმულს, სადაც განთავსებულია 2017 და 2018 წლებში განხორციელებუყლი პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევა:

http://vet.ge/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/

დანართი - „02" ელექტრონული ფაილი;

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გურამიშვილი თინათინ